



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/60

ქ. თბილისი

27 ივნისი 2018

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტის მე-11 მუხლის 11.2 პუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ივნისის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

1.1. პროფ. გიორგი გოგიჩაიშვილს მიენიჭა ემერიტუსის სტატუსი და გავიდა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) შემადგენლობიდან;

1.2. ახალი წევრები გაწევრიანდნენ შემდეგ კომისიებში:

- საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია – პროფ. აკაკი გვარუციძე და პროფ. ვანო ჭიაურელი;
- სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია – პროფ. რომან სამხარაძე;
- სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია – პროფ. ვანო ჭიაურელი;
- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია – სტუდენტები:

სოფიო გოგოჭური, ნიკა გელაშვილი, დავით ნადირაშვილი, ანასტასია ჭანტურია.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე